წერილი

იერუსალიმის პატრიარქის ქრისანთოსისა

უნგროვლახეთის კანცლერს ღირსეულ დიდგვაროვან

იანაკისს[1]- 1709 წლის დეკემბერი [2]

† ქრისანთოსი,
ღვთის წყალობით წმინდა ქალაქ იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქი

უპატივცემულესო და უკეთილშობილესო მეუფევ, ბატონო იანაკის, ჩვენი უმდაბლესობის უფლისმიერო, საყვარელო შვილო, მადლი, მშვიდობა და წყალობა ეყოს შენს ღირსებას ღვთისაგან, ყოვლადწმინდა და სიცოცხლისმყოფელი საფლავის შემწეობა, თანაყოფა და კურთხევა [მოენიჭოს] მისგან, ჩვენგან კი - ლოცვა, კურთხევა და შენდობა; და ასევე შენი სამეუფო სახლეულისა და ღირსი შვილებისათვის - ჩვენი ლოცვა და კურთხევა. ვთხოვთ უფალ ღმერთს, დაგიცვათ თქვენ ჯანმრთელად, ბედნიერად და მშვიდობიანად მრავალსა წელსა.

თქვენმა ღირსებამ აქ რომ გაათია ღამე, რამდენიმე დღეში ჩვენც ჩამოვედით და ძალიან დავმწუხრდით, რადგანაც ვერ მოგისწარით, რათა გვეხარა თქვენით, და თუკი რამე გვქონდა გასარკვევი, გაგვერკვია იმ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა შესახებ მოწერაც ან რთულია ან ისე ვერ გადმოიცემა წერილობით, როგორც საჭიროა. ოღონდ მაღალმა ღმერთმა კეთილად წარმართოს ჩვენი მეუფის ჯანმრთელობა და მისცეს მას ძალა, და იმედი გვაქვს, სხვა დროს მაინც შევხვდებით, როცა საამისოდ ღვთის ნება იქნება. მაშინ ვისურვებდით, ერთად განგვეხილა ის, რაც აუცილებელია.

თქვენმა ღირსებამ იერუსალიმში მოგვწერა რეზვანის [ეკლესიის] საკითხთან დაკავშირებით და გვკითხა წმინდა საბას მონასტრის ამჟამინდელი იღუმენის შესახებ, ჩვენც მივწერეთ წმინდა გიორგის მონასტრის იღუმენს, რომ თქვენი თხოვნა შეასრულოს, თუ ისურვებს ზემოხსენებული იღუმენი რეზვანის ეკლესიაში ჩასვლასა და იქ გაჩერებას.

თუმცა როდესაც საბრალო მამა სერაფიმე სხვა იღუმენებთან წავიდა, მას კვლავ თან გაჰყვა წმინდა საბას მონასტრის ყოფილი იღუმენი, რათა იქ გამხდარიყო წინამძღოლი და ეს საკითხი გადაუჭრელად დარჩა. თქვენს ღირსებას ვამცნობთ, რომ უპირველეს ყოვლისა, რაზვანში უნდა გამოსწორდეს ვითარება და შემდეგ უნდა ვიფიქროთ ამ პატივდებული პიროვნების შესახებ. ვინაიდან თუ ეს ვითარება უცვლელად დარჩება, რომელი ღირსეული ადამიანი დათანხმდება ამ ეკლესიაში გამოკეტვას, მაშინ როდესაც შეუძლია სამოგზაუროდ წავიდეს და უკეთ შეეწიოს წმინდა საფლავს. ამის მერე იზრუნეთ, რომ გამოიყვანოთ ეკლესია წმინდა საფლავის [საპატრიარქოს] დაქვემდებარებიდან, რისი გაკეთებაც შეუძლებელია, როგორც უკვე მოგახსენეთ და მოგწერეთ, და თუ ხანდახან წმინდა ქალაქში სხვადასხვა დროს მოღვაწე უწმინდეს პატრიარქებს დაუშვიათ მსგავსი იკონომიები[3], ეს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამით წმინდა საფლავს მეტი მოგება ექნებოდა. ჩვენ კი თუ რაზვანს გავეცემთ, ვერ ვხვდებით რა სახის სარგებელი შეიძლება მოიტანოს ამან, მითუმეტეს, რომ ჩვენ მაცხოვრის წმინდა საფლავის მფლობელები კი არა, არამედ მხოლოდ მისი მოწესეები ვართ.

ამგვარად, ახლა გადაჭრით გწერთ მას, რაც თავიდანვე გითხარით: თუ თქვენს ღირსებას სურს მოგვცეს ოთხას ორმოცდაათი გროში, რომელშიც, თქვენი სიტყვების თანახმად, არ შედის სასტუმრო ხარჯი (ვინაიდან არ გვქონია საჭიროება მისი სხვა დროს მიღებისა), მაშინ იყოს ეკლესია თქვენს განკარგულებში მთელი ათი წლით. და აქვე შევთანხმდეთ იმაზეც, რომ რა შემოსავალიც არ უნდა იყოს- დიდი თუ მცირე, დაიხარჯოს ეკლესიის იმ საჭიროებებისთვის, რასაც თქვენი ღირსება განსაზღვრავს ყოველგვარი გარჩევის გარეშე, ათი წლის შემდეგ კი ეკლესია კვლავ მთლიანად გადმოვიდეს **მაცხოვრის წმინდა საფლავს** წმინდა საბას მონასტრის დაქვემდებარებაში, ისე რომ არანაირი პრეტენზია არ გამოთქვან არც თქვენმა ღირსებამ და არც თქვენმა მემკვიდრეებმა. თუ ამას გადაწყვეტთ, მოგვწერეთ, რომ ჩვენც ვიცოდეთ და ვიზრუნოთ ვინმე სანდო პირის [წინამძღვრის] მოძიებაზე. თუ არ მიიღებთ ამგვარ გადაწყვეტილებას, მაინც მოგვწერეთ, რათა ვიცოდეთ და მეტი არაფერი. ასევე გპირდებით, რომ თუკი რასაც წერთ, იმას იზამთ, როდესაც ღმერთის ნებით მანდ ჩამოვალთ, გვინდა ჩვენც შევიტანოთ წვლილი - როგორც შევძლებთ ეკლესიის

სასარგებლო და ამას მოვიმოქმედებთ სიხარულით, ვინაიდან რასაც კი გავიღებთ, ყოველივე უკან დაგვიბრუნდება.

თუმცა თუ გაქვთ იმდენი სიყვარული, რომ მიიღოთ წმინდა საფლავის კუთვნილებაში მყოფი ეკლესია, თქვენთან ახლოს არის პრეხოვიცა და ამ ეკლესიასაც მოგცემთ, რამდენადაც ჩვენს განსვენებულ მეუფესაც სურდა მის გადმოცემას, როგორც თქვენმა ღირსებამაც უწყის, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი აღარ იქნება მიტროპოლიტის გამგებლობაში და მისი სახელი მოიხსენიება წმინდა საფლავის კუთვნილებაში[4] მყოფ ერთერთ მონასტერში, რაც არც მას შეაშფოთებს და არც სხვებს, რაკიღა ისიც სტავროპეგიული[5] იქნება, როგორც ამას იუწყება დაბეჭდილი წერილი.
და მიუხედავად იმისა, რომ მასზე უმცირესი უფლებაც კი არ აქვს მიტროპოლიტს, ჩვენ თქვენი სიყვარულის გამო, აჰა გიგზავნით ამას[6] და თუ მიიღებთ, გნებავთ სტავროპეგიული იყოს, გნებავთ მიტროპოლიტს გადაეცეს განმგებლობაში, ისე რომ არავინ მოგედავებათ, მაგრამ თუკი ეს არ გსურთ, არქიმანდრიტის[7] ხელით წერილი მაინც გამოგვიგზავნეთ.
რაკიღა საჯარო სტავროპეგიასა და მოგონებებზე სიტყვამ მოიტანა, უფრო ვრცლად ვწერთ თქვენს ღირსებას - როგორც ჩვენს ახლობელს და თუ მრავალვსიტყვაობთ, გთხოვთ, მოთმინება გამოიჩინოთ და კარგად მოუსმინოთ რასაც გწერთ.
ჩვენ, ღვთის წყალობით, ამ უწმინდეს ტახტზე შემთხვევით კი არ აღმოვჩნდით, არამედ კანონიკურად და თანაც იმგვარად, კონსტანტინოპოლის დაცემის მერე, არცერთი პატრიარქი არცერთ ტახტზე რომ არ ასულა, ვინაიდან ჯერ ჩვენი ინსტიტუციური და საეკლესიო გადაყვანა მოხდა, ისე რომ სამეფო ხელისუფლების არ დავეკითხეთ, და მხოლოდ ტახტზე სრული აღსაყდრების შემდეგ დადგა დღის წესრიგში და ეს საქმე დამტკიცდა.
ამგვარად, მივიღეთ რა მმართველობის (ზედამხედველობის) უფლება, ჩვენთან აღმოვაჩინეთ სამოციქულო ტახტთან დაკავშირებული უძველესი პატივ-ღირსებანი, რომელთაგანაც ერთ-ერთი გულისხმობს იმას, რომ წმინდა ქალაქის პატრიარქები გარდაცვალების შემდეგ მოიხსენიებიან ყველგან მათდამი დაქვემდებარებულ მეტოქიონებში.[8] ეს ტრადიცია (და კიდევ ბევრი სხვა განსაკუთრებული წეს-ჩვეულება და პრივილეგია, რომლებიც ამ წმინდა ქალაქის საყდარს გადაეცა როგორც ეკლესიისგან, ისე სამეფო კარისგან, და რომლებიც დღეს აღარცერთ პატრიარქს არ აქვს) არავინ იცის საიდან იღებს დასაბამს, იმდენად ძველია, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ გარდა, მათ იცავდა ერთმანეთის მიყოლებით ექვსი უწმინდესი პატრიარქი - უფალი გერმანოსი, უფალი სოფრონიოსი, უფალი თეოფანე, უფალი პაისიოსი, უფალი ნექტარიოსი და უფალი დოსითეოსი, რომელთაგანაც ზოგიერთი იმ ეპოქაში ზეგავლენიანი და ძლიერი პატრიარქი იყო, ზოგი - მღვდელთმთავრი. ბევრი მტერი ჰყავდათ მათ - ძირითადად, ისინი, ვინც წმინდა საფლავის წინააღმდეგ იბრძოდნენ და დიდი პოლემიკაც

იმართებოდა მათ შორის. მაგრამ მათგან არავის ჰქონდა კადნიერება მოხსენიების წინააღმდეგ გამოსულიყო და რამე ეთქვა ამასთან დაკავშირებით, გარდა ამჟამინდელი ყოვლადუწმინდესისა[9]. უნეტარესმა ეს შეთანხმება შეაჩერა ადრიანოპოლში, მეტოქიონ ტაძარში, რომელიც ეს-ესაა გადაეცა მას, მიუხედავად იმისა რომ იმგვარი შეთანხმება დაიდო წმინდა საფლავთან, რომ კონკრეტული დროში მოღვაწე მიტროპოლიტის სახელიც უნდა ხსენებულიყო იქ. მისმა ყოვლადუწმინდესობამაც კი ვერაფერი შეცვალა და გამოასწორა, როდესაც მისი მოხსენიება გაუქმდა დაწყებული სიტყვებიდან: „პირველად მოიხსენე უფალო...“, არა მხოლოდ შორეულ და სხვა მხარეებში, არამედ ჩვენთანაც - ჩვენს სამეფო მეტოქიონ ტაძარებშიც, კონსტანტინოპოლის უწმინდეს პატრიარქთა თვალწინ, და ნეოხორიონში, სადაც ესწრება თუ არ ესწრება ამჟამინდელი პატრიარქი იერუსალიმისა, მაინც მოიხსენიება მისი სახელი[10].

ეს ტრადიცია ორსავე ქრისტესმოყვარე სამეუფოშია დამკვიდრებული - უნგროვლახეთსა და მოლდოვლახეთში, და ამგვარად ინარჩუნებდა მას ყველა უწინდელი მღვდელთმთავარი უნგროვლახეთის სამეფო კარისა, მანამ სანამ არ გამოჩნდა **ამჟამინდელი** მეუფე ანთიმოზი, რომელიც გარდა იმისა, რომ **იყო გამოსყიდული** [**მონობიდან**] **წმინდა საფლავის ფულით** [11] **აწ განსვენებული** [**პატრიარქ დოსითეოზისგან**] **და მან** თავისუფლება მიიღო მაშინ, როდესაც მოგვწერეს **განტევების წერილი,** [12] მისი ფიქრები ამპარტავნების მწვერვალზე იმყოფება, უკეთ თუ ვიტყვით - სიგიჟისა და შეშლილობის მწვერვალზე, სავარაუდოდ, ამ სირცხვილის ჩამოსარეცხად, ისე რომ კაციშვილი არ იყო მისი განმსჯელი, შეშლილი რაღაც გამოიგონა[13] და თქვა: „დავადგენ ჩემს საყდარს ღრუბლებზე და ვიქნები მსგავსი უზენაესისა“ და ამგვარად ბრძანა, რომ მისი სახელი წმინდა საფლავის კუთვნილ მონასტრებში მოხსენიებულიყო, ისე როგორც თავად მოიგონა და დააწესა.[14]. ამასთან, როგორც **ავტოკეფალურმა და უმაღლესმა მღვდელმთავარმა, ბრძანა, რომ ტირგოვიშტეს** იღუმენი გაემათრახებინათ, თუკი არ დაემორჩილებოდა მის ბრძანებას, როგორც მრავალი სანდო [ადამიანი] ირწმუნება წერილობით.

და, ჩემო ბატონო, თუკი ამ მეუფე ანთიმოზს ამგვარი მიზანი ჰქონდა, რომ მისი სახელი ჩვენს მონასტრებში მოხსენიებულიყო, ნუთუ ჩვენ იმის ღირსნი მაინც არ ვიყავით, რომ გამოეჩინა მოთმინება და ჯერ ჩვენთვის ეკითხა - ჰქონდა თუ არა მოხსენიების უფლება. და როდესაც ჩვენს პასუხს მიიღებდა, თუკი არ მოეწონებოდა იგი, დაე, ისე მოქცეულიყო, როგორც სურდა.[15] ; ნეტავ საიდან არის ასეთი უპატივცემულობა და განსაკუთრებით მუქარები, რომ ფიზიკურად, ცემით გაუსწორდეს წინამძღვარებს?[16]

სხვა საკითხზეც რომ გადავიდეთ: გარდა იმისა, რომ ჩვენ არც კი გვკითხა, როდესაც გაბედა და საპატრიარქოს ასეთ ძველ პრივილეგიას შეეხო, ჯერ უწმინდეს პატრიარქსაც კი არ ჰკითხა, რომლის დაქვემდებარებაშიცაა თვითონ - იქნებ მიეღო პასუხად დასტური

მოხსენიებაზე და საკუთარი სურვილი აესრულებინა? და თუ არ მიიღებდა შესაბამის პასუხს, დაე, გაჩუმებულიყო ისიც. ბოროტება უგუნური რამ არის და რაკი არ ანებებს ადამიანს რაზეც საჭიროა იმაზე დაფიქრდეს, შეშლილობისაკენ უბიძგებს მას. ამის თვალნათელი დადასტურებაა ხალხური ანდაზა- გამეფებულმა ბოშამ საკუთარი მამა ჩამოახრჩოო. რადგანაც ღმერთის შემდეგ, რაც კი რამ კეთილი არსებობს, ჩვენ ვართ ამის პირველი მიზეზი. მაშინ, როდესაც გვეგონა, რომ მისი ძალისხმევით წმინდა საფლავის სავანეებში სიყვარული, პატივისცემა, ზრუნვა, შემწეობა და თანადგომა გვექნებოდა, ისეთი უპატივისმცემლობა გამოავლინა თავისი განზრახვით, რომ სხვა არცერთ პატრიარქს იერუსალიმისა ამდენი სიძულვილი არ უგრძვნია, თვით სამყაროს დასალიერში მოღვაწე ღვთისნიერი მღვდელთმთავართაგანაც კი.
ვამბობთ, რომ ყველაფერი რაც გააჩნია მას, ღმერთის შემდეგ, მიიღო ჩვენგან და ეს ჭეშმარიტებაა: როდესაც იგი იყო **ჩეტაცუიას მონასტრის წინამძღვარი იასში,**[17] სხვა წინამძღვრებმა განსვენებულ უნეტარეს მეუფესთან დაიჩივლეს (რომელთა შორისაცაა გალატას ამჟამინდელი იღუმენი), რომ მონასტერი გაანადგურა და აღრიცხვაშიც ჩანდა, რამდენი ათასი გროშით აზარალა, რაც შინაურ ცხოველებსა და ფუტკრების სკებსაც შეეხებოდა. განსვენებულმა მეუფემ[18] კი მათ მიუგო, რომ შეკრებილიყო ყველა წინამძღვარი იასიში, წმინდა საბას მონასტერში და ორასჯერ გაეროზგათ იგი, გამოეკეტათ იგი ჩეტაცუიას მონასტრის სამრეკლოში და იქ ჰყოლოდათ დატყვევებული მანამ, სანამ მისი უნეტარესობა[19] არ ჩამოვიდოდა. ამასობაში, ჩვენ გაგვგზავნა იასიში სხვა მსახურებათათვის და ლოცვა კურთხევით, რომ რასაც მის შესახებ წერდა, ეს ყველაფერი მოქმედებაში მოგვეყვანა. და ჩვენც წავედით და ძლივს მოვახერხეთ მისი გამოხსნა, ისე რომ არაფერი დაშავებოდა, რადგან გვიყვარდა იგი. ჩვენ წამოვიყვანეთ იქიდან და მოვიყვანეთ /ბუქარესტში/.

და როცა კარგად განვსაჯეთ, ისევ განსვენებული **უნეტარესი მეუფის ნებით და ლოცვა-კურთხევით**, შევხვდით **მეუფე** მიტროფანისს, ბუზეუს ეპისკოპოსს და [ვთხოვეთ] მისთვის ესწავლებინა **მესტამბეობა,** და **შევუთანხმდით,** რომ [ამისთვის] ჩვენ მას გადავუხდიდით ორას გროშს; (აი ამგვარად, ჩვენი წყალობით მოვიდა აქამდე, ცნობილი გახდა და იმად იქცა, ვინც ახლაა).[20].

მან კი, როგორც ბოროტი და უმადური სულის იარაღმა და უგუნური განსჯის მონამ, მალულად ჩაიდინა ის, რაც ჩაიდინა და განეშორა თავის მეტანიის ადგილს[21]. ამის გამო ერთობ აღშფოთდა განსვენებული მეუფე, უნდოდა წმინდა მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონებისა და საეკლესიო სამართლის მიხედვით განეკვეთა იგი და ანათემისთვის გადაეცა, ისე როგორც მსგავს შემთხვევებში მომხდარა, და ღმერთია უტყუარი მოწმე იმისა, რომ ჩვენ შევაჩერეთ ამ საქმის ბოლომდე მიყვანაში მრავალი მიზეზის გამო, რომელთა განხილვაც ამ ეტაპზე საჭირო არაა.

უფრო მეტიც, განსვენებული თავისი პრინციპების წინააღმდეგ წავიდა, როდესაც ანთიმოზი აკურთხეს რიმნიკის ეპისკოპოსადაც. კენჭისყრისას გამოთქვა თანხმობა, რადგანაც იცოდა, რომ არას თქმის შემთხვევაში, მაინც ვერაფერი გამოსწორდებოდა და ამიტომაც ისე წარმოაჩინა თითქოსდა იყო თანახმა, როგორც ეს თავად განსვენებულმა გვითხრა, რადგანაც მაშინ ჩვენ იქ არ ვიმყოფებოდით. და უფრო მეტად იმაზე სწუხდა, რომ ისიც კი არ მოისურვა რომ შენდობის თხოვნით მიემართა მისი უნეტარესობისთვის თავისი განდგომის გამო, როგორც ეს სხვებმა გააკეთეს.

განვიდა იგი სახელოვანი [პატრიარქი დოსითეოსი] მარადიულ სამყოფელში, და ამ უწმინდეს სამოციქულო საყდარზე მას ჩავენაცვლეთ ჩვენ, ღმერთისთვის ცნობილი განგებით. განვიდა აქედან განსვენებული უფალი თეოდოსიოსიც და იქ ვიყავით ჩვენც. კურთხევა იყო, რომ ის გამხდარიყო მიტროპოლიტი და ჩვენც დაგვეკითხნენ. კარგად ვიცოდით - არას თქმის შემთხვევაში ვერაფერს გავხდებოდით და მხოლოდ ის შეგვეძლო, რომ გვეხარა და ვყოფილიყავით მის მხარეს მისი ყოვლად უკეთილშობილესობა მთავრის [კონსტანტინე ბრინკოვიანუს] უკიდურესი სიყვარულით. და ჩავიდინეთ უღირსი ქმედება ჩვენ მაცხოვრის წმინდა საფლავის მიმართ იმით, რომ პირადად მიგვეცა ხმა მისთვის, ვინც წმინდა საფლავს განუდგა.[22] და როგორც ღვთის შეუმცდარი თვალი ხედავს, რომ არ ყოფილიყო ვალდებულება, რომელიც მისი უკეთილშობილესობა მთავრის წინაშე მიგვიძღვის, ამას არ ვიზამდით, თუნდაც დარწმუნებით გვცოდნოდა, რომ ვერცხლით სავსე ორმოცდაათ ქისას მოვიგებდით ამით ან დავკარგავდით. თუმცა ეს ყოველივე სიხარულით გავაკეთეთ, და იქ სადაც ყურძნის მოსავალს ველოდით, ეკალ-ბარდები მოვიწიეთ. და მიუხედავად ამისა, მან გაბედა და და შეაჩერა ჩვენი სახელის მოხსენიება ღვთის მსახურების დროს, წესი, რომელიც დადგენილია ამდენი ხნის განმავლობაში და მხოლოდ თვითონ მოიხსენიება. მერე კი უსირცხვილო სახით გვწერს, რომ წმინდა საფლავის მონასტრები საპატრიარქოს [განმგებლობაში] არაა და რომ მას სურს მათში თვითონ მოიხსენიებოდეს და ჩვენ გაოცებულნი ვართ და გვიკვირს - საიდან აქვს მას ამხელა მზვაობრობა გონებისა? ნუთუ საკუთარი ჭვრეტით მივიდა აქამდე, თუ იმ ბრძენებმა და მასწავლებლებმა ასწავლეს, გვერდით რომ ჰყავს? რომლებიც რაღაც აბდაუბდას ეუბნებიან და ამას საიდუმლოდ გაანდობენ თითქოს მას, რომელიც ისმენს რა ამ ყოველივეს, ფიქრობს, რომ ნამდვილად მისი ნააზრევია და სწამს და უხარია, რომ ბრძენი და გამორჩეული ღვთისმეტყველი. ყველა პატრიარქი თუ მმართველი თუ წინამძღოლი თუ სხვანი - დიდნი და მცირენი - მიიჩნევენ, რომ წმინდა საფლავის მონასტრები საპატრიარქოს ეკუთვნის და ამასთან, იქვეა საპატრიარქო საყდარიც და მხოლოდ იგი - თავისი უკიდურესი კეთილგონიერებითა და უბრძნესი გონიერებით გვწერს, რომ წმინდა საფლავის მონასტრები საპატრიარქოსი არ არის. ასეც რომ იყოს. და რაკიღა ამბობს, რომ კანონები იცის, საინტერესოა - როდის ისწავლა ისინი? როცა მიტროპოლიტი გახდა მაშინ? თუ როცა რიმნიკის ეპისკოპოსად შეიქნა? რა თქმა უნდა,

იტყვის, რომ მანამდეც, დიდი ხნით ადრე იცოდა. და მაშასადამე იცოდა ისიც, რომ ეპისკოპოსს თავის ეპარქიაში იგივე უფლება აქვს, რაც მიტროპოლიტს თავის სამიტროპოლიტოში, და მაშინ, როცა რიმნიკში იყო განსვენებულის [პატრიარქ დოსითეოსის] დროს, რატომ არ იზრუნა რომ მოხსენიებულიყო მის საეპისკოპოსოში არსებულ წმინდა საფლავის მონასტრებში? მხოლოდ ახლა, ჩვენს დროში რომ გაახსენდა, რაც მიტროპოლიტი გახდა - მას მერე? თუ იტყვის, რომ მეტი სტატუსი აქვს ახლა? სინამდვილეში ხომ საგარეო და საშინაო პოლიტიკის, ისევე როგორც სულიერი თვალსაზრისით, მიტროპოლიტი და ეპისკოპოსი არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მხოლოდ ოთხ საპატრიარქო პირს აქვს სულიერების თვალსაზრისით უპირატესობა, მიტროპოლიტებსა და ეპისკოპოსებს შორის კი არანაირი განსხვავება არ არის და თუ ეს არ იცის მისმა ყოვლად უსამღვდელოებამ, დაე, ახლა გაიგოს.[23]

გვწერს, რომ მოხსენიებას ითხოვს საეკლესიო კანონების მიხედვით; და ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება იმას, რომ იღებს პასუხს სინოდალური ბეჭდით დამოწმებული წერილის სახით, რადგანაც თუკი კანონებს მისდევს, დაე, ესეც კარგად გაიგოს: მისი ყოვლად უსამღვდელოესეობა, მსოფლიო წმინდა კრებებზე მიღებული კანონების მიერ არის განკვეთილი და შეჩვენებული,[24] როგორც მაცხოვრის წმინდა საფლავის შეურაცხმყოფელი.[25] არის შეჩვენებული და განკვეთილი, რადგან [ნებართვის გარეშე] მიატოვა თავისი მეტანიის ადგილი[26] და რომელსაც შენდობაც კი არასდროს უთხოვია, და დაე დაადასტუროს ეს თითოეულმა იმ სამი სინოდიკონიდან[27], რომლებიც გამოგიგზავნეთ, რადგან არ გვინდოდა კიდევ სხვა ბევრი მასალების გამოგზავნაც.

საეკლესიო კანონებით დადგენილია, რომ იგი უკანონოდ და ძალადობრივად გახდა რიმნიკის ეპისკოპოსი, რადგანაც კანონები ცხადად გვამცნობენ, რომ როდესაც ეპისკოპოსი დაწინაურდება, საჭიროა თორმეტი ეპისკოპოსი ჰყავდეს მოწმედ და ბევრი მღვდელი და საეკლესიო პირი. და რაკიღა ილარიონის დაწინაურებისას ამდენმა მოაწერა ხელი, იგი კანონიერი ეპისკოპოსი გახდა. თუ არ ჰყავს ამდენი ხელმომწერი და ცხადია - არ ჰყავს, ნიშნავს რომ ძალადობრივად, უკანონოდ და მოტყუებით გახდა იგი ეპისკოპოსი.

ხოლო ის, რომ გახდა რიმნიკის ეპისკოპოსი, უკანონოდ დასტურდება მეუფე თეოდოსიოსის წერილიდანაც, სადაც სინდისით შეწუხებული, ის აღიარებს, რომ უკანონო და უსამართლო საქმე ჩაიდინა, და ხსენებული ილარიონი იყო უსამართლოდ დასჯილი და ამის გამო მეუფე თეოდოსიოსი ითხოვდა და მიიღო შენდობა.[28] მსოფლიო კრებების ცხადი კანონები სჯიან, განკვეთავენ და შეაჩვენებენ, თუ ვინმე ფარულად მოაწყობს საქმეს ისე, რომ სიკვდილის შემდეგ რომელიმე ეპისკოპოსის მემკვიდრედ დასახელდეს, მსოფლიო კრებათა თვალნათელი კანონების თანახმად ეს ფარული შეთანხმება არცერთ შემთხვევაში არ უნდა განხორციელდეს და თუ შედგება მსგავსი ქმედება ახლა შეგებულად არ ვწერ, თუ რა სასჯელს ითხოვს სჯულის კანონი დაე,

თავად წაიკითხოს და იხილოს წმინდა კანონების დადგენილებებში.[29] აი, რამდენი კანონია, რომელთა სწავლა მისმა უწმინდესობამ არასდროს ისურვა და დაე, ახლა გაიგოს ისინი.

ამ მცირედს თქვენს ღირსებას ვწერ მხოლოდ ცნობისათვის, რადგანაც გავიგეთ, რომ თქვენ მხარი დაგიჭერიათ - აქ მისი ნება აღსრულებულიყო და მადლობა ღმერთს, რომ საქმე ისე წარიმართა, როგორც წარიმართა და არანაირი წერილი არ გამოგზავნილა აქედან მისი ნებით, რადგანაც მას სურდა, რომ ეს ვითარება ბევრ და დიდ სკანდალებში გადაზრდილიყო და ამ საკითხს გადაეფარა კიდეც სინაიტელთა საქმე.[30]. ყოვლად უსამღვდელესეობამ [ანთიმოზმა] ყველაფერი ჩაიდინა, რაც შეეძლო, წმინდა საფლავის ღირსების წინააღმდეგ. თუმცა ჩვენ, მრავალი მიზეზით, არაფერს ვაკეთებთ გარდა იმისა, რომ ვწერთ - სინოდიდან ყველამ ანათემას გადასცეს იგი აღდგომის დღეს წმინდა საფლავთან, რათა მისი ბოროტების შესახებ მთელმა სამყარომ შეიტყოს, ისე როგორც გაგვიკეთებია სხვების შემთხვევაში იქ ყოფნის ჟამს.

შეხედეთ, ბატონო ჩემო, რა გზა გაგვიხსნა მეგობარმა აგიოტაფიტმა[31]: თუ ნებას დავრთავთ, რომ მისი სახელი მოიხსენიებოდეს ჩვენს ეკლესია-მონასტრებში, რომლებიც არსებობენ მისი ეპარქიის ტერიტორიაზე, მაშინ იმავე უფლებით ისარგებლებენ ეპისკოპოსები, რომელთა ეპარქიების ტერიტორიებზე იმყოფება წმინდა საფლავის სალოცავები. იმავეს გააკეთებს მოლდოვლახეთის ეპისკოპოსებსაც[32] თავის საეპისკოპოსოში, ასევე აქაური ყოვლადუწმინდესიც და ყველა მღვდელმთავარიც, რომელთა განმგებლობაში მყოფი ეპარქიები მაცხოვრის წმინდა საფლავის კუთვნილი მეტოქიონები[33] არიან.

და მას საერთოდ არ უფიქრია, რომ ჩვენ ამას არ დავუშვებდით არა ოდენ პატივისადმი საფრთხის, არამედ სიცოცხლისადმი საფრთხის გამოც, და უგუნურად წამოიწყო ეს საქმე. ამდენად, რომც მოეგვარებინა და მიეღო სინოდის წერილი, ჩვენ თუ ვისურვებდით, რომ საქმე მშვიდობიანად მოგვეგვარებინა და აქაურ უწმინდესთან და ყოვლად უსამღვდელოეს მღვდელმთავრებთან სკანდალში არ გავხვეულიყავით, ორი ფლორინით მოვაგვარებდით მთელ ამ საქმეს. ხუთი ოყა[34] ცვილს მივცემდით დიდ ეკლესიას[35] და ყველა ჩვენს მეტოქიონს კონსტანტინოპოლის ტახტის სტავროპეგიად ვაქცევდით ერთი წერილით, ისე რომ მისი ყოვლად უწმინდესობის სახელი არ მოიხსენიებულიყო მათში, ჩვენთან არსებული წესის მიხედვით.

ამდენად, ჩვენ ის კი არ გვეწყინა, რომ თქვენს ღირსებას საეკლესიო პირები უყვარს და ეხმარება მათ, მხოლოდ ის [გვიკვირს], თუ რატომ გსურთ დაეხმაროთ მათ უსამართლო და უკანონო საქმეებში, რომლებიც მაცხოვრის წმინდა საფლავის წინააღმდეგაა მიმართული. ეს ალბათ იმიტომ ხდება, რომ არ იცით ძალა და სიზუსტე წმინდა კანონებისა ან იმიტომ, რომ მან თავისი ლაქარდიანი ენით[36] მოგატყუათ, და არა იმიტომ,

რომ თქვენს ღირსებას ცუდი განზრახვა აქვს, რადგანაც თქვენ ჩვენ გიცნობთ როგორც ღირსეულსა და ღვთისმოშიშს და აქ ცნობას გაწვდით, რათა აქედან გამოიტანოთ აზრი და ვლოცულობთ, რომ თავის მართლება არ მოგვიწიოს, რადგანაც ჩვენი საყვედურები დასრულდა და ჩუმად ვართ.

ერთადერთი რამ გვაქვს კიდევ სათქმელი ამ ვითარებასთან დაკავშირებით, რომ არც ვეტყვით და არც მივწერთ ვინმეს, გარდა ერთი შემთხვევისა - თუ ღმერთი სიცოცხლეს გვიბოძებს, ამას მხოლოდ მის უდიდებულესობას, ჩვენს მთავარს, მოვახსენებთ, როდესაც შევხვდებით და იმედი გვაქვს სამართალსაც ვპოვებთ. ვევედრებით წმინდა ღმერთს, დაიცვას უღვთისმოშიშესი მთავარი ჩვენი ყოველი მტრისაგან, რათა ყოველ ჩვენგანს გვქონდეს პატივი, შემწეობა და მფარველობა მისი. ღვთის მადლი და უსაზღვრო წყალობა იყავნ თქვენთანა მთელი ცხოვრების განმავლობაში.

კონსტანტინოპოლიდან,

1709 წელი დეკემბერი.

კომენტარები:

---

[1] წერილის ადრესატი იანაკ ვეჩარესკუ მთავარ კონსტანტინე ბრინკუვიანუს პირადი მდივანი, მრჩეველი, მაღალი არისტოკრატული წარმოშობის პირი. იგი მთავართან და მის ოთხ ვაჟთან ერთად მოწამეობრივად აღესრულა კონსტანტინოპოლში.

[2] წერილი *კონვერტი М.П.Т. ნომერი.239* [სათაურით«*Ἀρχαῖαι ἐπιστολαὶ διαφόρων Πατριαρχῶν Ἱεροσολύμων, ἀρχόμεναι ἀπὸ τοῦ Νεκταρίου μέχρι τοῦ ἀοιδίμου Κυρίλλου*»], *დოკუმენტი N* 55, *რომელიც დაცულია* წმინდა საფლავის მეტოქიონი ტაძრის საცავში - კონსტანტინოპოლში (გამოუცემელი).
ბერძნულიდან თარგმნილია თათია მთვარელიძის მიერ შეჯერებულია რუმინულ თარგმანთან დეკანოზ ალექსი ქმუტაშვილისა და ანასტასია ზაქარიაძის მიერ. კრებულიდან: ანთიმოზ ივერიელი; წერილები, ბუქარესტი, გამ-ბა ბაზილიკა, 2016. გვ. 83-105. Scrisori / Sfântul Antim Ivireanu ; lucrare publicată cu binecuvântarea Preafericitului Părinte Daniel, Patriarhul Bisericii Ortodoxe Române ; ed. îngrijită de Arhimandrit Mihail Stanciu şi acad. Gabriel Ştrempel. - Bucureşti : Basilica, 2016; გვ 83- 105.
[3] იკონომია -საეკოსიო კანონიკური წესი, რომლის დროსაც ხდება ძირითადი კანონის, წესის ან სანქციის შერბილება, ან შემსუბუქება,რაც ხდება კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, პრობლემის უფრო უკეთესი,უმტკივნეულო და დადებითი შედეგის მისაღებად. იკონომიის პრინციპს საფუძვლაად დაედო მაცხოვარი იესო ქრისტეს სიტყვები: "ადამიანი კი არ შეიქმნა შაბათისთვის, არამედ შაბათი შეიქმნა ადამიანისთვის," ანუ არცერთი წესის თუ კანონის შესრულება არ წარმოადგენს თვითმიზანს, მითუმეტეს შურისძიების საშუალებას, არამედ ადამიანის გამოსწორება და კონკრეტული პრობლემის მოგვარება.
[4] ღვთისმსახურების დროს ადგილობრივი მღვდელმთავრის, მისი სრული ტიტულით სახელის მოხსენიება არის აუცილებელი, კანონიკური წესი, რომლითაც გამოიხატება კონკრეტული ტაძრის, მასში მსახური სასულიერო პირების, და მლოცველი მრევლის კანონიკური მორჩილება. საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის ტრადიციით, ღვთისმსახურების დროს აუცილებლად მოიხსენება ადგილობრივი მღვდელმთავარი და სრულად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი.

[5] სტავროპიგიული- ორი ბერძნული სიტყვისგან შემდგარი სიტყვაა: სტავროს-ჯვარი და პიგო-დარჭობა, დასმა. სპეციალური საპატრიარქო ჯვარი აღიმართებოდა ხოლმე ამა თუ იმ ტაძარში ან მონასტერში იმის ნიშნად, რომ კონკრეტული სალოცავი არ არის ადგილობრივი მღვდელმთავრის იურისდიქციაში, არამედ იმართება უშუალოდ პატრიარქის მიერ. არსებობს ასეთი ტრადიცია, რომ ეკლესიის კანონიკური წესწყობის შესაბამისად ეკლესია ემორჩილება ადგილობრივ ეპისკოპოსს, მაგრამ შეიძლება პატრიარქმა გადაწყვიტოს გარკვეული მიზეზებიდან გამომდინარე, რომ კონკრეტული ტაძარი, რომელიც ამ ტერიტორიაზეა უნდა ემორჩილებოდეს არა ადგილობრივ ეპისკოპოსს, არამედ პატრიარქს და ამის აღსანიშნავად აღიმართებოდა სპეციალური საპატრიარქო ჯვარი.
[6] აქ ლაპარაკია უფლებამოსილების დადასტურებაზე.
[7] არქიმანდრიტი-მაღალი იერარქიული თანამდებობა, რომელიც გულისხმობს, რომ პიროვნება არის აღკვეთილი ბერად, ნაკურთხი მღვდლად და არის რამოდენიმე მონასტრის წინამძღვარი. დღეს დღეობით არქიმანდრიტი არის მხოლოდ ბერად აღკვეცილ სამღვდელოებაში მაღალი საპატიო ტიტული და არ გულისხმობს რომელიმე კანონიკურ უფლებამოსილებას.
[8] მეტოქიონი - საეკლესიო ნებისმიერი დაწესებულება (მონასტერი,მომლოცველთათვის განკუთვნილი სასტუმრო, მეურნეობა და ასე შემდეგ), რომელიც დაქვემდებრებულია რომელიმე საეკლესიო დაწესებულებაზე(საპატრიარქო, ეპარქია, მონასტერი,საკათედრო ტაძარი და ასე შემდეგ), რომელიც ტერიტორიულად იმყოფება მეტ ნაკლებად შორ მანძილზე და შეიძლება სხვა ეპარქიის ან საპატრიარქოს ტერიტორიაზეც კი.
[9] იგულისხმება კონსტანტინოპოლის პატრიარქი.
[10] ქრისანთოსი აქ იხსენიებს ახალ ტრადიციას, რომელიც ჩამოყალიბდა მე 16 საუკუნეში, როდესაც იერუსალიმის პატრიარქის სახელის მოხსენიება ხდებოდა წმინდა საფლავისთვის შეწირულ ყველა მეტოქიონში. რაც ცხადია ეს იყო ქტიტორების მიერ არაკანონიკური პრივილეგია მიცემული იერუსალიმის პატრიარქებისადმი, ხოლო ადგილობრივი ეპისკოპოსები, რომლებიც თავისივე ნებით იერუსალიმის პატრიარქებს აძლევდნენ ფინანსურ ან იურიდიულ პრივილეგიებს, თურქების მიერ იყვნენ გაძარცულები.
[11] იერუსალიმის წმინდა საფლავის ფინანსები ძირითადად შემოდიოდა უნგროვლახეთის სამთავროებიდან და ამაშიც ჩანს ღვთის განგება, რომ წმინდა ანთიმოზმა ძირითადად თავისი ღვაწლი და ენერგია შეწირა რუმინელი ხალხის სულიერ და კულტურულ აღორძინებას.
[12] განტევების (გათავისუფლების) კანონიკური წერილი ეძლეოდა მონას თავისი ბატონისაგან, რითაც ის ხდებოდა თავისუფალი. ეს ნიშნავდა, რომ მას ეძლეოდა უფლება მიეღო ნათლობა, სასულიერო პირად

კურთხევა, ან აღკვეცა. ასეთნაირად ამქვეყნიური მონობიდან გათავისუფლებულ ადამიანს ეძლეოდა საშუალება გამხდარიყო ღვთის მონა და ემსახურა ეკლესიის წიაღში. მე -IV მსოფლიო კრების მე -4 კანონში ნათქვამია:"...მონასტრებში არ უნდა მიიღონ არცერთი ტყვე (მონა) და არ უნდა აღიკვეცოს ბერად თავისი ბატონის ნებართვის გარეშე..,"

[13] რუმინულ თარგმანში არის-„მოიგონა ლუციფერული სიახლე"

[14] წმინდა ანთიმოზი ცდილობდა დაებრუნებინა უნგროვლახეთის კანონიკური წესი, რითაც ის აღარ იქნებოდა დამოკიდებული უცხო საეკლესიო სტრუქტურებზე.

[15] რეალურად ჩვენ ვხედავთ, რომ ანთიმოზ ივერიელი არის ვლახეთის ეკლესიის ავტოკეფალიისთვის ერთერთი პირველი მებრძოლი, მიზანი, რომელიც ისტორიაში არასდროს არ მიღწეულა გარკვეული სითამამისა და შეიძლება ითქვას ავტორიტარიზმის გარეშე. შემდგომში 1865 წელს, რუმინეთის ეკლესიამ ოფიციალურად გამოაცხადა თავისი ავტოკეფალია, რასაც მოჰყვა კონსტანტინოპოლის მხრიდან ყველანაირი საეკლესიო, კანონიკური და ლიტურგიკული ურთიერთობების და კავშირების შეწყვეტა და მხოლოდ 20 წლის შემდეგ, 1885 წელს მოხდა კონსტანტინოპოლის მხრიდან რუმინეთის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება. აქვე შეიძლება გავიხსენოთ ის ფაქტიც, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ 1917 წელს რუსეთის ეკლესიამ ასევე გაწყვიტა საქართველოს ეკლესიასთან ევქარისტიული კავშირი 1943 წლამდე და მხოლოდ 1990 წელს კონსტანტინოპოლის ეკლესიის მხრიდან მოხდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და საპატრიარქო რანგის აღდგენის აღიარება. აქვე შეიძლება გავიხსენოთ ის პრობლემები, რომლებიც არსებობს დღეს დღეობით, ჩვენს დროში, უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭება/აღიარების საკითხში.

[16] ამ მონაკვეთში აშკარად ჩანს, თუ როგორ განსაკუთრებით არის ქრიზანტოსი გაბრაზებული ანთიმოზ ივერიელზე, რადგან ის არ უთმობდა მას სნაგოვის მონასტერს, სადაც გარკვეული წლების განმავლობაში თვითონ იყო წინამძღვარი და ბევრი იღვაწა ამ მონასტრის აღორძინებისთვის. ხოლო იერუსალიმის პატრიარქს უნდოდა, რომ ეს მონასტერი გაეხადა თავის მეტოქეონად და ამიტომ არ იშურებდა, რომ ანთიმოზისთვის დაებრალებინა ყველანაირი დანაშაული, რომ ხელისუფლების თვალში დაცემულიყო მისი ავტორიტეტი.

[17] ამ წერილის წყალობით ჩვენ ვიგებთ დღემდე უცნობ ფაქტს ანთიმოზ ივერიელის ცხოვრებასთან დაკავშირებით, კერძოდ, რომ ანთიმოზ ივერიელი გარკვეული პერიოდის განმავლობაში იყო მოლდოვაში, ქალაქ იასში არსებულ ჩეტაცუიას მონასტრის წინამძღვარი. არის ახალი აღმოჩენა.

[18] აქ იგულისხმება იერუსალიმის წინა პატრიარქი დოსეთიოსი ნოტარა, რომელიც გახლდათ ქრისანთოსის ალალი ბიძა.

[19] ფაქტი რომ ჩეტაცუიას მონასტრის ქონების გაფლანგვის შესახებ ინფორმაცია იყო ცილისწამება მტკიცდება იმით, რომ მოგვიანებით, როდესაც ანთიმოზი იყო სნაგოვის მონასტრის წინამძღვარი, რიმნიკის ეპისკოპოსი და ბუქარესტის მიტროპოლიტი, მან ბევრად გაამრავლა ეკლესიის ქონება. ეს ფაქტი მტკიცდება ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტებითა და კონსტანტინე ბრინკოვიანუსადმი ანთიმოზ ივერიელის მიერ დაწერილი ე.წ. „თავდაცვის უსტრებში" მოყვანილი მტკიცებულებებით. იხ. ანთიმოზ ივერიელი „დიდაქეები და სხვა თხზულებები" თბილისი: გამ-ბა"დობერა, 2016 გვ. 267-274.

[20] 1709 წელს ანთიმოზი უკვე იყო ყველაზე ცნობილი მესტამბე ქრისტიან მართლადიდებლურ სივრცეში. იმ დროისთვის, მას უკვე ქონდა დაბეჭდილი წიგნები, და წირვის ჩატარებისთის აუცილებელი ნივთები-"ოდიკები"-ბერძნულ, რუმინულ, სლავურ, არაბულ და ქართულ ენებზე.

[21] მეტანიის ადგილი-იგულისხმება ის ადგილი, სადაც ადამიანი აღიკვეცება ბერად, რადგან აღკვეცის პროცესში პიროვნება შუა ტაძარში ასრულებს სამ მუხლმოდრეკვას „მეტანიას" და ჯვრის სახით წვება იატაკზე. როგორც ჩანს, იერუსალიმს პატრიარქი ხრისანტი აქ გულისხმობს იმ ფაქტს, რომ ბუზეუში მესტამბეობის შესწავლის შემდეგ, ანთიმოზი მოღვაწეობას აგრძელებს ბუქარესტის სტამბაში, რაც გულისხმობდა იმას, რომ ის გამოვიდა იერუსალიმის პატრიარქის იურისდიქციიდან და შევიდა კონსტანტინეპოლის ეკლესიის იურისდიქციაში. წინამდებარე წერილიდან ირკვევა აქამდე უცნობი ფაქტიც, რომ ანთიმოზი ჯერ იერუსალიმში იყო აღკვეცილი ბერად და ნაკურთხი მღვდლად და მხოლოდ ამის შემდეგ იქნა გაგზავნილი ჯერ მოლდოვაში, ქალაქ იასში და მერე ვლახეთში, ქალაქ ბუქარესტში, სამოღვაწეოდ, რადგან ბერად ჯერ არ აღკვეცილი და მღვდლად არ ნაკურთხი ადამიანი ვერ დაინიშნებოდა რომელიმე მონასტრის წინამძღვრად.

[22] აქ ისევ იგულისხმება ის ფაქტი, რომ უნგროვლახეთის მიტროპოლიაში ჩასვლით და იქ მოღვაწეობის დაწყებით ანთიმოზ ივერიელი ავტომატურად გამოვიდა იერუსალიმის საპატრიარქოს იურისდიქციიდან და შევიდა კონსტანტინეპოლის ეკლესიის მორჩილებაში, რომლის იურისდიქციაშიც იმ დროს იმყოფებოდა უნგროვლახეთის ეკლესია

[23] აქ პატრიარქი ქრიზანთოსი გამოთქვამს ბერძნული ეკლესიების მიერ მოგონილი ე.წ. „პენტარქიის“ ცრუ თეორიას, რომლის მიხედვითაც ვითომ მხოლოდ ხუთ ადგილობრივ ეკლესიას: რომს ,კონსტანტინეპოლს, ალექსანდრიას, ანტიოქიას და იერუსალიმს გააჩნია განსაკუთრებული, საკრალური მადლი და შესაბამისად კანონიკური სტატუსი და უპირატესობა სხვა ადგილობრივ ეკლესიებთან შედარებით.რადგან 1054 წლის შემდეგ რომის ეკლესია გამოეთიშა აღმოსავლეთის მართადიდებელი ეკლესიასთან ერთობას,ამიტომ პატრიარქი ხრიზანტი, თავის წერილში, ახსენებს მხოლოდ ოთხ საპატრიარქოს. სინამდვილეში, როგორც მტკიცდება, მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის ისტორიიდან და საეკლესიო კანონებიდან (მეორე მსოფლიო კრების მესამე კანონი; მეოთხე მსოფლიო კრების 28-ე კანონი) გამომდინარე მტკიცდება რომ პირველი ხუთი საპატრიარქოს შორის არსებული რიგითობა განისაზღვრა არა რომელიმე რელიგიური, საკრალური კრიტერიუმით,არამედ რომის იმპერიაში კონკრეტული ქალაქების პოლიტიკური სტატუსითა და ეკონომიკური სიძლიერით. რომი იყო იმპერიის ძველი და თავდაპირველი დედაქალაქი, კონსტანტინეპოლი იმპერიის ახალი დედაქალაქი, ალექსანდრია იყო აფრიკის პრეფექტურის დედაქალაქი და ხმელთაშუა ზღვაში ყველაზე დიდი პორტის მქონე სავაჭრო ცენტრი, ხოლო ანტიოქია იყო აღმოსავლეთის პრეფექტურის დედაქალაქი, და მხოლოდ იერუსალიმი იყო შეყვანილი „პენტარქიის“ საპატრიარქო რიგში მხოლოდ რელიგიური კრიტერიუმით, როგორც მაცხოვარი იესო ქრისტეს ქალაქი, მაგრამ ისიც მხოლოდ ბოლო ადგილზე.

[24] განკვეთა გულისხმობს სამღვდელო ხარისხის შესაბამისად სამღვდელო მოქმედების უფლების სამუდამო ჩამორთმევას. შეჩვენება,ანათემა არის საეკლესიო სასჯელის უმკაცრესი ფორმა, როდესაც ადამიანს ჩამოერთმევა ზოგადად ეკლესიის წევრობის სტატუსი,ანუ საერო დასიდანაც არის მოკვეთილი ეს კონკრეტული პიროვნება.

[25] მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მთელს სჯულის კანონში არ არსებობს არცერთი კანონი, რომელიც გულისხმობდეს სპეციალურად მაცხოვრის წმინდა საფლავის შეურაცხყოფისათვის განსაკუთრებულ სასჯელს. აქედან ჩანს, რომ პატრიარქ ქრისანთოსის მიერ ანთიმოზ ივერიელის მიმართ წაყენებული ბრალდებები არის უსაფუძვლო და რეალობას მოკლებული.

[26] როგორც უკვე იყო ნათქვამი მანამდე პატრიარქი ქრისანთოსი ბრალს სდებდა ანთიმოზ ივერიელს, რომ ვითომ ის სპეციალური ნებართის გარეშე გადავიდა იერუსალიმის საპატრიარქოს იურისდიქციიდან კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში. ეს ბრალდებაც აშკარად იყო უსაფუძვლო, რადგან ერთი იურისდიქციიდან მეორე იურისდიქციაში სასულიერო პირის გადასვლის შემთხვევაში,პირველ რიგში პასუხი მოეთხოვება მიმღებ მხარეს, ანუ ამ შემთხვევაში კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს და მერე უკვე გადასულ სასულიერო პირს. ხოლო რადგან ერთი იურისდიქციიდან მეორე იურისდიქციაში გადასვლას იერუსალიმის საპატრიარქოს მხრიდან არ მოჰყოლია არანაირი გაპროტესტება, უფრო მეტიც,იერუსალიმის ეკლესია უშუალოდ მონაწილეობდა ანთიმოზის ეპისკოპოსად არჩევაში და შემდგომში მიტროპოლიტად კურთხევაში, შეიძლება დავასკვნათ, რომ ანთიმოზის გადასვლა კონსტანტინეპოლის ეკლესიის იურისდიქციაში იყო შეთანხმებული და იერუსალიმის მხრიდან იმთავითვე აღარებული აქტი. ზოგადად, სასულიერო პირის ერთი იურისდიქციიდან მეორეში გადასვლა ითვლება სერიოზულ კანონიკურ ქმედებად და ყოველთვის არის გამაგრებული შესაბამისი წერილობითი თუ ზეპირი ნებართვებით, ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ ანთიმოზის გადასვლა კონსტანტინეპოლის ეკლესიის კანონიკურ სივრცეში ვერ იქნებოდა შეუთანხმებელი უმაღლეს იერარქებს შორის,ამიტომ აქაც უნდა დავასკვნათ, რომ ხრისანტის ბრალდება იყო უსაფუძვლო და მიზნად ისახავდა მხოლოდ ანთიმოზთან პირად ანგარიშსწორებას.

[27] სინოდალური დადგენილებების ასლები.

[28] ეპისკოპოსი ილარიონი იყო განკვეთილი ეპისკოპოსის ხარისხიდან 1705 წელს. მისი სიახლოვის გამო კათოლიკურ ეკლესიასთან. როგორც უკვე ითქვა, 1700-1701 წლებში, ტრანსილვანიის რეგიონში მოხდა მასობრივი უნიზაცია და მართმადიდებელი მრევლის და სამღვდელოების დიდი ნაწილი იყო გადაბირებული კათოლიკურ ეკლესიაში. ამიტომ დაწყებული იმ პერიოდიდან დღემდეც მართმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებს შორის ურთიერთობები წარმოადგენენ ძალზედ

სენსიტიურ თემას. თუ ეპისკოპოს ილარიონის გადაყენება მოხდა უკანონოდ და გარკვეული პროცედურული დარღვევებით, ამაში ბრალი არ მიუძღვის ანთიმოზ ივერიელს და მისი არჩევა და კურთხევა რიმნიკუს ეპისკოპოსად იყო აბსოლუტურად კანონიერი. თუ ილარიონის განკვეთა მოხდა უსამართლოდ უნდა დამტკიცდეს ანთიმოზის უშუალო მონაწილეობა ამ უსამართლობაში. მაგრამ თვითონ ის ფაქტი, რომ ვინმეს ირჩევენ ეპისკოპოსად სამართლიანად თუ უსამარათლოდ გადაყენებული მღვდელმთავრის ადგილზე თავისთავად ეს დანაშაულს არ წარმოადგენს.

[29] საინტერესოა რომ პატრიარქ ქრისანთოსს არ მოჰყავს არცერთი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ანთიმოზ ივერიელი სინამდვილეში იყო რომელიმე შეთქმულების ორგანიზატორი ან მონაწილე, ან და რომ მისი უშუალო ქმედებით უსამართლოდ იქნა გადაყენებული ეპისკოპოსი ილარიონი. ქრისანთოსის ამ წერილიდან ვერანაირად ვერ მტკიცდება ანთიმოზის ბრალეულობა, შესაბამისად მის მიერა აქ მოყვანილი ბრალდება თითქოსდა ანთიმოზი იყო უკანონოდ არჩეული და ნაკურთხი რიმნიკუს ეპისკოპოსად ყველანაირ საფუძველს არის მოკლებული.

[30] როგორც ჩანს აქ პატრიარქი ქრისანთოსი იხსენიებს რომელიღაცა დიდად გახმაურებულ კონფლიქტურ სიტუაციას, რომელიც იმ პერიოდში წარმოიქმნა სინას მთაზე არსებულ მონასტერსა და იერუსალიმის საპატრიარქოს შორის.

[31] აგიოტაფიტი- ბერძნული შედეგენილი სიტყვაა: „აგიოს“-წმინდა, „ტაფიტი“- საფლავი, ანუ სიტყვა სიტყვით ითარგმნება როგორც „წმინდა საფლაველი“. აგიოტაფიტებს ანუ წმინდა საფლაველებს ეძახდნენ იერუსალიმში ნაკურთხ და გაზრდილ სასულიერო პირებს,აქედან მტკიცდება ის ფაქტი, რომ ტყვეობის შემდეგ ანთიმოზ ივერიელმა თავისი მოღვაწეობა გააგრძელა პალესტინაში, კერძოდ იერუსალიმში და იქ მოხდა მისი ბერად აღკვეცა და მღვდლად კურთხევა. ეს ფაქტი იქედანაც მტკიცდება, რომ ანთიმოზის განსჯისა და განკვეთის შემდეგ გადასახლებაში მას აგზავნიან პალესტინაში სინას მთაზე არსებულ წმინდა ეკატერინეს მომასტერში,რადგან ბერების შემთხვევაში, საეკლესიო ტრადიციის მიხედვით, სინანულის ბოლო ადგილად მიიჩნევა ის ადგილი სადაც მოხდა მისი აღკვეცა(ბერობის აღთქმის დადება.

[32] მოლდო-ვლახეთი--ძველი რუმინული სახელმწიფო, რომელიც ტერიტორიულად მოიცავდა თანამედროვე რუმინეთის აღმოსავლეთ პროვინციებს მოლდოვის რესპუბლიკას და უკრაინის ჩერნოვცის და იზმაილის ტერიტორიებს.

[33] აქედან ჩანს იერუსალიმის პატრიარქ ქრისანთოსის პროტესტის რეალური მიზეზი, კერძოდ, ის რომ მას ეშინია ანთიმოზ ივერიელის მაგალითს არ გაჰყვნენ სხვა მღვდელმთავრებიც, რასაც ლოგიკურად და მყისიერად მოყვებოდა ადგილობრივი, ავტოკეფალური, ეროვნული ეკლესიების ჩამოყალიბება, ეს კი თავის მხრივ გამოიწვევდა იერუსალიმის საპატრიარქოს ფინანსურ მდგომარეობისა და საერთაშორისო წონასა და ზეგავლენის შერყევას.

[34] ოკალი- ცვილის წონის ერთეული

[35] წმინდა დიდი ეკლესია-კონსტანტინეპოლის წმინდა საპატრიარქო

[36] შდრ.: „კაცის ცრუ ბაგე მისივე მტერია და **ლაქარდიანი ენა** საფრთხეს უმზადებს" იგავნი 26,28.